# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(249) 2021 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 1 ლარი

## ვულოცავთ!

**11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი მმართველობის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში გაიმარჯვა კანდიდატმა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“**

**ავთანდილ გულიკაშვილმა**

(წინასწარი მონაცემებით – 62.378%)



### ავთანდილ გულიკაშვილი

**დაიბადა** 1972 წლის 15 მარტს, საგარეჯოში.

**განათლება:**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, აგროინჟინერია;

საგარეჯოს №4 საშუალო სკოლა;

**სამუშაო გამოცდილება:**

2006-2021 მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი;

2005-2006 თბილისის მეტროპოლიტენის მომარაგების განყოფილების უფროსი;

1998 – 2005 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ჰყავს მეუღლე – ირმა ოთარაშვილი და ორი შვილი.

## ტრაგედია ბათუმში

**უმძიმესი** ტრაგედია ბათუმში - 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი სადარბაზო ჩამოინგრა. მომხდარის შედეგად ნანგრევებში 10-ზე მეტი ადამიანი მოყვა.

მომხდარიდან მალევე მაშველებმა ნანგრევებიდან მცირეწლოვანი ბავშვი გამოიყვანეს, რომელიც კორპუსთან მდგომ ავტომობილში იმყოფებოდა. რაც შეეხება უშუალოდ შენობაში მყოფ ადამიანებს, ბოლო მონაცემებით, მაშველებმა 10 მათგანის პოვნა შეძლეს, საიდანაც 8 უკვე გარდაცვლილი იყო. გარდაცვლილებს შორის 3 ბავშვია.

2 დაშავებული კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ერთი მათგანი, 35 წლის ქალი მეორე დილით გარდაიცვალა. ის სამედიცინო დაწესებულებაში უმძიმეს მდგომარეობაში შეიყვანეს. ქალს ღამის განმავლობაში გული 5-ჯერ გაუჩერდა. ირკვევა, რომ ნანგრევებში ნაპოვნი ორი გარდაცვლილი ბავშვი სწორედ მისი შვილები არიან.

მძიმეა მეორე დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. ექიმი ამბობს, რომ პაციენტს მრავლობითი მოტეხილობები აქვს და აღენიშნება ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი.

არსებული ინფორმაციით, 10 ოქტომბრისათვის ნანგრევებში მოყოლილი ყველა მოქალაქე ნაპოვნია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კორპუსის ნგრევის სავარაუდო მიზეზი პირველ სართულზე უნებართვოდ წარმოებული სარემონტო სამუშაოები გახდა. სწორედ ამის გამო, უწყებამ ბინის მეპატრონე და ორი მუშა დააკავა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ამბობს, რომ დანგრეული კორპუსის მიმდებარედ არსებულ შენობებს გეოლოგები და კონსტრუქტორები შეისწავლიან.

მომხდარის ტრაგედიის გამო, 11 ოქტომბერი საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მაყურებლის გარეშე ჩატარდება ბათუმში საქართველო-საბერძნეთის საფეხბურთო მატჩი.

გარდა ამისა, უქმდება თბილისობასთან დაკავშირებული ღონისძიება, თანხა კი, რომელიც მის ჩასატარებლად იყო გამოყოფილი, ბათუმის ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახების ფონდში გადაირიცხება.





# მუნიციპალური გვერდი

## ახალი ამბები

### იორმუღანლო

## აქ მალე ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

**სოფელ** იორმუღანლოში,"სოკარ ენერჯი ჯორჯია"-ს გენერალურ დირექტორთან მაირ მამედოვთან ერთად საქართველოს პარლამენტის წევრმა დავით სონღულაშვილმა, კახეთის მხარეში პრეზიდენტის წარმომადგენელმა ირაკლი შიოშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა საბავშვო ბაღის მშენებლობას ჩაუყარეს საფუძველი, რომელსაც "სოკარ ენერჯი ჯორჯია" ააშენებს და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცემს.

საბავშვო ბაღი გათვლილი იქნება 160 ბავშვზე და გარდა საკლასო ოთახებისა, ბაღის ინფრასტრუქტურის ფარგლებში მოწყობილი იქნება ბუფეტი, სამზარეულო, სპორტული აქტივობის, ექიმის, სათამაშო და საძინებელი ოთახები, ასევე, ადმინისტრაციული, ტექნიკური ფართები და ღია სათამაშო მოედანი. შენობაში გათვალისწინებული იქნება პანდუსები და სანიტარული ფართები უნარ-შეზღუდული ბავშვებისათვის.

საბავშვო ბაღის ჯამური ფართი 3100 კვადრატული მეტრს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ 4 თემში შემავალ სოფლებში ბოლო სამი ათეული წელია მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი (დუზაგრამაში) და ორი ალტერნატიული ჯგუფი (სოფელ იორმუღანლოში) ფუნქციონირებს.





საძირკველი ჩაეყარა საბავშვო ბაღის მშენებლობას


საბავშვო ბაღის მაკეტი

## ახლო მომავალში

### კახეთის ახალი მაგისტრალის 35.2-კილომეტრიანი მონაკვეთი

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კახეთის მიმართულებით, ახალი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობისთვის 2 ტენდერი გამოაცხადა.

პროექტი სულ 3 ლოტს მოიცავს, რომელთა ***საერთო სიგრძე 35.2 კილომეტრია.*** პროექტი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის მშენებლობას ითვალისწინებს. ***პირველი ტენდერის საწყისი ღირებულება 74.8 მილიონი ლარი იყო, მეორე ტენდერის კი 575 მილიონი ლარია.***

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, პირველ ტენდერში პრეტენდენტთა შერჩევის პროცესი დასრულებულია და 63.9 მილიონი ლარის წინადადებით მასში შპს New Road-მა გაიმარჯვა. კომპანიასთან ხელშეკრულება 23 სექტემბერს გაფორმდა და მან პროექტი არაუმეტეს 18 თვის ვადაში უნდა დაასრულოს. პროექტი ვაზიანის შემოვლითი გზის მშენებლობას მოიცავს.

რაც შეეხება მეორე – 575 მილიონი ლარის ტენდერს, მასზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობა სულ 9 კომპანიამ მიიღო. ინფრასტრუქტურის სამინისტროში ამჟამად წინადადებების შერჩევა მიმდინარეობს.



### გაზიფიცირდება მაღალმთიანი კოჭბანის თემის სოფლები

**საქართველოს** მთავრობის მიერ დამტკიცდა გაზიფიცირების 3 წლიანი გეგმა, რომლის თანახმად შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ" 2022-24 წლებში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით 244 დასახლებულ პუნქტში გაზიფიცირების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. გაზიფიცირების სამწლიანი გეგმის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი კოჭბანის თემში მომავალი წლიდან გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყება.

**გორანა, ირაკლივგორანა, კოჭბანი, ბოტკო -** ის სოფლებია, სადაც ბუნებრივი გაზით მომარაგების მიზნით, გაზიფიცირების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება.

## სოფლის მეურნეობა

### „რთველი-2021"

**ხანგრძლივი** უამინდობის გამო დროებითი შეფერხების შემდგომ, გამოიდარა თუ არა, მუნიციპალიტეტის ზვრებში კვლავ განახლდა სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაწყებული „რთველი-2021".



12 ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, სულ ამ ქარხნებში საგარეჯოელი მევენახეების მიერ მთლიანობაში ჩაბარებულია 22030 ტონაზე მეტი ყურძენი, რაც ფულად გამოსახულებაში 18 მილიონ 842 ათას 69 ლარს შეადგენს.

ჩაბარებული ყურძნის მოსავლიდან რქაწითელი ჩაბარებულია – 9037 ტონა (8662847 ლარი), საფერავი – 4927 ტონა (7989577 ლარი), კახური მწვანე – 1348,49 ტონა (1695339 ლარი), სუფრის ჯიშის ყურძენი – 518 ტონა. ამას გარდა მოსახლეობამ კერძო სექტორზე რეალიზაცია გაუკეთა 5 ათას ტონაზე მეტ ყურძენს.

რთველი მუნიციპალიტეტში კვლავ გრძელდება. ზემოხსენებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტების განცხადებით, წელს მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია 40 ათას ტონაზე მეტი ყურძნის მიღება.

*გ. დაბახიშვილი*

# „ინფრასტრუქტურა-2021“

## სოფლის წყალმომარაგებისთვის
### სოფელი პატარძეული

**რეგიონული** განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აქტიურად განაგრძობს სამშენებლო სამუშაოებს იმ სოფლებში, სადაც წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა არასდროს ყოფილა.

ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში. სამუშაოების ფარგლებში ეწყობა წყალმომარაგების ქსელი, მაგისტრალური მილსადენი, წყლის სათავე ნაგებობები, სატუმბო სადგური, კორპუსების შიდა გაყვანილობა, დაგეგმილია მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

პროექტის დასრულების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში უწყლობით გამოწვეული პრობლემა მოუგვარდება და 3000 ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს.

სამუშაოებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 9 მილიონ ლარამდე მოხმარდება. პროექტის დასრულება 2023 წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი.



## წესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა
### სოფელი პატარა ჩაილური

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, სპორტული სივრცეების მოწყობა გრძელდება.

სოფელ პატარა ჩაილურში, სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დასრულდება და ახალგაზრდები ახალი, მრავალფუნქციური სპორტული სივრცით ისარგებლებენ.

სპორტული დარბაზი იაპონიის საელჩოს დაფინანსებით 2008 წელს პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობასთან ერთად აშენდა და პატარა ჩაილურის ახალგაზრდებს გადაეცათ. აქ აქტიურად მიმდინარეობდა ძიუდოს სექციის აღსაზრდელთა მეცადინეობები, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით აშენებულ შენობაში იატაკის პრობლემა გაჩნდა, რის გამოც სპორტულმა სექციამ ფუნქციონირება 2016 წელს შეწყვიტა.



## ქალაქ საგარეჯოში
### ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალი მოეწყობა

**18 აგვისტოს**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ საგარეჯოში, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე, მრავალფუნქციური სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.

პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარებიის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

**პროექტში წარმოადგენილია:**

სკვერთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა;

შშმ პირთათვის ადაპტირებულ პანდუსი;

საბავშვო-გასართობი მოედნის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა;

სკვერში საფეხმავლო ბილიკები მოეწყობა დეკორატიული ქვაფენილებით;

ბილიკებს შორის მოეწყობა გამწვანება;

სასმელი წყლის ფანტანის, და დასასვენებელი ჯიბეების მოწყობა სკამებით და სანაგვე ურნებით;

სპორტული საკალათბურთო მოედნის და ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა.

ბილიკების გასწვრივ დეკორატიული განათების, ლამპიონისა და დეკორატიული ღობის მოწყობა.

სკვერში მოეწყობა ახალი მონოლითური კედლები, ფანჩატური და საპირფარეშო.







## სოციალური დაცვა

**სიახლე**

**პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა**

**მაღალმთიან** დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ერთჯერადად 350 ლარის, ხოლო სხვა დასახლებაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის 300 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

## პროგრამა, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ემსახურება

***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული ოჯახებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დასახმარებლად. დღეს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **სოფო შაქარაშვილი** 2021 წლის პირველი იანვრიდან პირველ სექტემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარმოგიდგენთ:*

1. I-II ახალადაბდებული ბავშვიანი ოჯახების ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარების პროგრამით ისარგებლა 23 ოჯახმა გაიცა 6900 ლარი;

2. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარების ერთჯერადი 200 ლარიანი პროგრამით ისარგებლა 14 პირმა გაიცა 2800 ლარი;

3. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ერთჯერადი 400 ლარიანი პროგრამით ისარგებლა 110 ოჯახმა გაიცა 44 000 ლარი.

4. სოციალურად დაუცველ 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციართა სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაციონარული მკურნალობის და ოპერაციების, ასევე, სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების პროგრამით ისარგებლა 280 პირმა გაიცა 142025,15 ლარი.

სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა გაიცა 3110 ლარი.

18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 16 პირმა გაიცა 2050 ლარი.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, 18 წლამდე ბავშვთა და სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 8 პირმა გაიცა 2440 ლარი.

6.სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბლაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „სინერგია“ 2019-ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდა 2596 ლარით.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯები დაფინანსდა 3276 ლარით.

7. ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და

დასასრული მე-4 გვერდზე

№19(249) 2021 წელი, 1-15 ოქტომბერი

# შემოდგომა და შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018“-ის სამუშაო არეალი

## დადგა ხეების გადაბელვის აუცილებლობა

**შპს** “სუფთა მუნიციპალიტეტი -2018”-ის სამუშაო ჯგუფი, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, სოფელ მანავში ხეების გადაბელვის სამუშაოებს ახორციელებს.







სუფთავდება თბილის-გომბორის გზის მონაკვეთი

## შემოდგომის წვიმებისგან წყალმოვარდნების ასაცილებლად

**საგარეჯოს** მუნციპალიტეტის მასშტაბით სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი - 2018“-ის სამუშაო ჯგუფის მიერ, სპეციალური ტექნიკის საშუალებით, ზოგიერთ სოფელში აღნიშული სამუშაოები უკვე დასრულდა. დანარჩენ სოფლებში, რიგითობის მიხედვით ეტაპობრივად გაგრძელდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რაც ძლიერი წვიმის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეამცირებს წყალმოვარდნისა და დატბორვის საფრთხეს.





ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა

## პროგრამა, რომელიც ადამიანების ჯანმრთლობას და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ემსახურება

**დასასრული**

ოპერაციების დაფინანსება, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება, სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირების სამედიცინო დახმარების და ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 232პირმა დახმარებისთვის გაცემულმა თანხამ შეადგინა 136721.10 ლარი.

8. ონკოლოგიური დაავადების მქონე, სოციალურად დაუცველ 200 000 ათას ქულის მქონე მოქალაქეთა, შშმ. პირთა, იძულებით გადაადგილებულ, ვეტერან, ეპილეფსიით დაავადებულ, ფენილკეტონურიით ან სხვა იშვაითი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით ისარგებლა 336 პირმა დასახმარებლად გაიცა 142 000 ლარი.

9. სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ბავშვთა კვების პროგრამით ისარგებლა 10 ოჯახმა გაიცა 928.30 ლარი.

10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა ყოველთვიური დახმარებისთვის გაიცა 29 600 ლარი, ისარგებლა 79 პირმა.

11. უდედმამო 18 წლამდე ბავშვთა ყოველთვიური დახმარებისთვის გაიცა 1800 ლარი, დახმარებით სარგებლობს 3 ბავშვი. დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი დახმარება გაეწია 12 პირს გაიცა 2400 ლარი.

12. უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილის, არაიდენთიფიცირებული და სოციალურად დაუცველი პირის (სარეიტინგო ქულით 100 000-მდე) დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებსთვის დახმარებით ისარგებლა 26 ოჯახმა გაიცა 7800 ლარი.

13. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტოენერგიის ან გაზის ღირებულების დაფინასების პროგრამით სარგებლობს 392 ოჯახი, მარტის თვის გასაცემელმა შედგინა 23 050 ლარი.

14. სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ დედით ან მამით ობოლ, სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილთა და შეზღუდული შესაძლებლბის სტატუსის მქონე სტუდნეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები და ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 8 სტუდენტმა გაიცა 7337.50 ლარი.

15. სოციალურად დაუცველი ოჯახების საშეშე მერქნის შესაძენი ხარჯით უზრუნველსაყოფად ზამთრის სეზონზე დახმარება გაეწია 98 ოჯახს, გაიცა 4850 ლარი.

16. 95 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისთვის ფულადი 200 ლარიანი საჩუქრით ისარგებლა 13 ოჯახმა გაიცა 3000 ლარი.

17. ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პაციენტების ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსებისთვის გაიცა 21800ლარი, პროგრამით ისარგებლა 27 პირმა.

18. სტიქიით ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ასევე, საცხოვრებლით უზრუნველყოფა მარტოხელა სტატუსისი მქონე პირთათვის და ძალადობის ან ტრეფიკინგის მხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ბინის ქირის უზრუნველყოფა ოჯახებისთვის რომელთაც ჰყავთ ორი ან ორზე მეტი შშმ პირი- აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 128 ოჯახმა გაიცა 16001ლარი.

19. ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს ხუთ მოქმედ ქეისზე და კონსულტირება გაეწია 10 ოჯახს.

ჯანმრთელობა

# „Covid-19“ და ჩვენ

ჯანმრთელობა

## მოსახლეობის ვაქცინაციისათვის

**კახეთის** რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გრძელდება.

***კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი შიოშვილი***, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში იმყოფებოდა, სადაც იორმუღანლოს ადმინისტრაციულ თემში შემავალი სოფლების მცხოვრებთა იმუნიზაციის პროცესს ადგილზე გაეცნო.

ვაქცინაციის ჩატარების სურვილი რამდენიმე ათეულმა ადგილობრივმა გამოთქვა.

ირაკლი შიოშვილმა მოსახლეობას აქტიურობისა და ვაქცინაციის ჩატარებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.



## რით მკურნალობენ კორონავირუსს?
### გერმანელი ექიმების რეკომენდაციები

**გერმანელი** ექიმების აზრით, კორონავირუსის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტიანი საშუალება ვაქცინაციაა. აცრის შემთხვევაში ადამიანს დაავადების მძიმე ფორმა არ უვითარდება.

შესაბამისად, სჯობს არც მიიყვანო საქმე იქამდე, რომ პაციენტს ინტენსიური თერაპია დასჭირდეს. ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, მთელ მსოფლიოში ვაქცინების 5 მლრდ დოზა იყო გამოყენებული, ძირითადად მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ეს რაოდენობა დედამიწის მოსახლეობის მესამედის ასაცრელად არის საკმარისი.

ყოველდღე კორონავირუსით მსოფლიოში 650 000 ადამიანი ინფიცირდება. ყოველდღე 10 000 ადამიანი კორონავირუსისგან და ამით გამოწვეული გართულებებით იღუპება.

პანდემიის დაწყებიდან, ანუ წელიწად-ნახევრის განმავლობაში კორონავირუსის მკურნალობის პროცესში გარკვეული პროგრესი შეინიშნება. გერმანიაში ექიმებს შესაბამისი ინსტრუქციით მოქმედებენ.

***ვინ უნდა მიმართოს საავადმყოფოს კორონავირუსის დროს?***

**თუ** დაავადებულს სუნთქვის პრობლემები აღენიშნება, მან აუცილებლად ექიმს უნდა მიმართოს. თუ პაციენტს გახშირებული სუნთქვა აღენიშნება და სისხლში ჟანგბადის შემცველობა 90%-ზე ნაკლებია, პაციენტს ინტენსიური თერაპიის პალატაში ათავსებენ.

თუ ადამიანის სუნთქვის სიხშირე წუთში 25-30-ს შეადგენს, ეს ნიშნავს, რომ პაციენტის ფილტვები დაზიანებულია. ფილტვების მდგომარეობის დადგენა რენტგენის მეშვეობით ხდება. ამ შემთხვევაში საუბარია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაზე იმისათვის, რომ სისხლს საკმარისი ჟანგბადი მიეწოდებოდეს, პაციენტს ჟანგბადის ნიღაბს უკეთებენ. მძიმე შემთხვევებში კი ადამიანის ტრაქეაში სპეციალურ შლანგს უშვებენ, რათა საყლაპავიდან სითხე ფილტვებში არ მოხვდეს. ამ დროს პაციენტი მუცელზე უნდა იწვეს.

***რა პრეპარატები გამოიყენება კორონავირუსის მძიმე ფორმების დროს***

**მხარდამჭერი** თერაპიის ფარგლებში, როდესაც უკუჩვენებები არ არის, ექიმები ჰეპარინს ნიშნავენ, ის თრომბების გაჩენის საშიშროებას ამცირებს. ასევე, დექსამეტაზონი და ჰიდროკორტიზონი გამოიყენება. ეს პრეპარატები ანთებითი პროცესების განვითარებას უშლის ხელს. ამასთანავე, კორტიკოსტეროიდები მძიმე პაციენტების მკურნალობის დროს პანაცეა არ არის. ეს მედიკამენტები ადვილად იშოვება და პაციენტები მათ კარგად იღებენ. იმ პაციენტების სიკვდილიანობა, რომლებსაც ხელოვნურ სუნთქვას უტარებენ, 3-12%-ით მცირდება.

დექსამეტაზონთან ერთად ექიმები, ასევე, ტოცილიზუმაბს იყენებენ. ეს პრეპარატი მონოკლონურ ანტისხეულებზეა აგებული და იმუნიტეტს აძლიერებს. როდესაც პაციენტებს ხელოვნური სუნთქვა სჭირდებათ და მათი მდგომარეობა მძიმეა, ეს წამალი პაციენტს ლეტალური შედეგისგან იცავს. რაც შეეხება პაციენტებს, რომლებსაც ხელოვნური ჟანგბადის მინიმალური რაოდენობა სჭირდებათ, ამ შემთხვევაში პრეპარატის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

***მონოკლონალური ანტისხეულებით მკურნალობა***

**მონოკლონალური** ანტისხეულები იმ პრეპარატთა სიაში შედის, რომელთა გამოყენება კორონავირუსის მკურნალობის დროს ხდება. ის პირდაპირ დაავადების გამომწვევ მიზეზებს ებრძვის. ასე, მაგალითად, აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს კომპანია ღეგენერონ-ის პრეპარატით, REGN-COV2-ით მკურნალობდნენ.

აშშ-ში გამოყენება ორი მონოკლონალური ანტისხეულების ნაზავისგან შემდგარი ნივთიერება. მისი ცდების მესამე ფაზამ აჩვენა, რომ კორონავირუსით დაავადებული ადამიანები, რომლებსაც მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობდნენ, დაავადების მძიმე ფორმას გადაურჩნენ. ასევე, ადამიანები უფრო ადრე იკურნებოდნენ.

კიდევ ერთი მედიკამენტი, რომელიც ანალოგიურად მოქმედებს, არის ბამლანივიმაბი, ის REGN-COV2-ის მსგავსია. ამასთანავე, ექიმები არ ურჩევენ ამ პრეპარატის გამოყენებას საშუალო და მსუბუქი დაავადების ფორმის დროს, რადგანაც მას არასასურველი გვერდითი მოვლენები შეძლება ჰქონდეს. ის მხოლოდ იმ პაციენტების შემთხვევაში გამოიყენება, რომლებიც რისკის ჯგუფში შედიან.

***კოვიდგადატანილის პლაზმით მკურნალობა***

**კორონავირუსის** მკურნალობის დროს სისხლის გადასხმით მკურნალობის იდეა თავიდან ძალიან პოპულარული იყო. კოვიდგადატანილ ადამიანს ორგანიზმში საკმარისი რაოდენობის ანტისხეულები გააჩნია და მას, წესით, ინფიცირებული ადამიანის იმუნიტეტი უნდა გაეძლიერებინა. პრაქტიკაზე კი ეს ყველაფერი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ე.წ. რეკონვალესცენტური პლაზმით მკურნალობას კორონავირუსის მკურნალობის არანაირი დადებითი ეფექტი არ მოჰყოლია. სიკვდილიანობა არ შემცირებულა, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თანაც იმ ადამიანებს, ვისაც სისხლი გადაუსხეს, გვერდითი მოვლენები დაუფიქსირდათ. გარდა ამისა, პლაზმის, ისევე როგორც დონორული ორგანოების მიღება, საკმაოდ რთულია.

***რა პრეპარატები არ აღმოჩნდა ეფექტიანი***

**არსებობს** მთელი რიგი მედიკამენტები, რომლებზეც ექიმები დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ რომლებიც კორონავირუსის მკურნალობის დროს ეფექტიანი არ აღმოჩნდა. ამ სიაში შედის ანტიბიოტიკი აზიტრომიცინი და პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატი ივერმექტინი. ასევე, ექიმები აღარ იყენებენ ვიტამინ D3-ს.

არ არის მიზანშეწონილი რიტონავირის და ლოპინავირის გამოყენებაც. მათ ხშირად ინტერფერონთან ერთად იყენებდნენ. არაეფექტიანი აღმოჩნდა ქლოროხინი და ჰიდროქსილქლოროხილიც, ასევე, ანტიანთებითი პრეპარატი ანაკინრა.

რაც შეეხება ბარიციტინიბს, რემდისივირთან ერთად მისი გამოყენების შემთხვევაში, კოვიდის მძიმე ფორმით დაავადებული პაციენტები უფრო ადრე გამოჯანმრთელდნენ. ამასთანავე, სიკვდილიანობის შემცირებაზე ამ პრეპარატებს გავლენა არ მოუხდენია.

## რამდენად უსაფრთხოა ბავშვების ვაქცინაცია?

**ბოლო** პერიოდში მოზარდების ვაქცინაციასთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. დიდ ბრიტანეთში 12-15 წლის მოზარდებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთჯერად დოზას სთავაზობენ, ხოლო 50 წლის ზემოთ ადამიანებს - ვაქცინის ბუსტერულ დოზას.

BBC აქვეყნებს მშობლების აქტუალურ კითხვებს, მოზარდების ვაქცინაციასთან და ბუსტერულ დოზებთან დაკავშირებით, სპეციალისტები პასუხობენ:

***– რამდენადაც ვიცი, კოვიდვაქცინაციის შემთხვევაში მიოკარდიტის საფრთხე გაცილებით მაღალია, ვიდრე კორონავირუსით ინფიცირებისას ჰოსპიტალიზაციის რისკი. თუკი ასეა, რატომ უნდა ავცრა ჩემი შვილი ვაქცინით, რომელსაც საშინელი გვერდითი მოვლენები აქვს?***

***კიმ ბრისკო, ჯანდაცვის ექსპერტი:***

მიოკარდიტი - ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინების ძალიან იშვიათი გვერდითი მოვლენაა. სიმპტომები, რომლებიც იწვევს ტკივილს მკერდის არეში ან გახშირებულ გულისცემას, სწრაფად გადის. ყოველ მილიონ დოზაზე მხოლოდ 2-დან 17-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, უმეტესად ბიჭებში, ვიდრე გოგოებში. ამ სიმპტომებით ჰოსპიტალიზაცია ძალიან ცოტას დასჭირდა.

თუმცა, მსგავსი სიმპტომები შესაძლოა კორონავირუსმაც გამოიწვიოს და საბოლოოდ, ზოგიერთი ბავშვში საკმაოდ ხანგრძლივად ტოვებს ამ გვერდით მოვლენას.

ვაქცინაციისა და იმუნიზაციის ერთობლივი კომიტეტის (JCVI) მონაცემებით, ერთი მილიონი ბავშვის ვაქცინაცია აგვარიდებს ჰოსპიტალიზაციის 87 და რეანიმაციულ 2 შემთხვევას.

თავად ვაქცინაცია პრაქტიკულად უსაფრთხოა და მოზარდების უმეტესობა ვაქცინაციის შემდგომ მხოლოდ ხელის მსუბუქ ტკივილს გრძნობს.

***– შეუშლის თუ არა ხელს ვაქცინაცია ჩემს შვილს განათლების მიღებაში?***

***ნიკ ტრიგლი, კორესპონდენტი ჯანდაცვის საკითხებში***

– არსებობს მიზეზი, რის გამოც გადაწყვეტილების მიღების პროცესი მტკივნეული იყო - ეს არის დაბალანსებული მიმართვა.

12-დან 15 წლამდე ასაკის ჯანმრთელი ბავშვები კოვიდინფიცირების დაბალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. მოდელირების მიხედვით, ვაქცინაცია განათლების მიღებას ხელს არ უშის.

დელტას ვარიანტის გამოჩენა ნიშნავს, რომ ვაქცინები ინფექციის თავიდან აცილების მიზნით უფრო ეფექტიანია, ვიდრე ოდესმე იყო.

***– როგორც თინეიჯერი გოგონების დედა, მაღელვებს ვაქცინების ხანგრძლივი მოქმედება მათ განაყოფიერებაზე. რაც არ უნდა უცნაური იყოს, მყავს რამდენიმე მეგობარი და ნათესავი, რომელთა შემთხვევაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციამ მენსტრუაციაზე უარყოფითად იმოქმედა. რა გავლენას ახდენს ვაქცინები რეპროდუქციულ სისტემაზე?***

***ფილიპა როკსბი, ჯანდაცვის რეპორტიორი***

– ზოგიერთი ქალი გვატყობინებს მენსტრუალური ციკლის ცვლილებების შესახებ, მაგალითად, ზოგს უჩვეულოდ ძლიერი სისხლდენა აქვს ან მენსტრუაცია გარკვეული პერიოდით გაუჩერდა, რაზედაც ექსპერტებს ლოგიკური განმარტება აქვთ:

ვაქცინაციის შემდეგ ზიანდება იმუნური უჯრედები, ორგანიზმის იმუნური სისტემა იწყებს მუშაობას და ჩნდება ანთებითი რეაქცია, რამაც შესაძლოა, მენსტრუალურ ციკლში ცვლილებები გამოიწვიოს. ასეთივე ეფექტები შესაძლოა, ჰქონდეს გაციების ან პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინებს.

მაგრამ ექიმები ამბობენ, მსგავსი გვერდითი მოვლენები ხანგრძლივი არ არის და ეს ქალებმა არ უნდა განიცადონ.

სოციალურ ქსელში ბევრი დეზინფორმაცია გავრცელდა ვაქცინაციასა და განაყოფიერებაზე, მაგრამ არ დაიჯეროთ არაფერი გარდა იმისა, რასაც გინეკოლოგები წერენ და ამბობენ. ყველა ექსპერტი ამბობს, რომ ვაქცინაცია განაყოფიერებას ხელს არ უშლის. სინამდვილეში, კორონავირუსით ინფიცირება უფრო მეტ პრობლემას იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რაც შემდგომ ნეგატიურად აისახება განაყოფიერებაზე.

***ვაქცინების გამოყენება, ასევე, რეკომენდებულია ორსულობის დროს.***

***– რატომ არ გამოიყენება ასტრაზენეკას ვაქცინა გამაძლიერებლის (დამატებითი დოზის, ბუსტერის) სახით?***

***ფერგუს უოლში, სამედიცინო რედაქტორი***

– ასტრაზენეკას ვაქცინის ბუსტერული მიზნით გამოყენება უსაფრთხო და ეფექტიანია, მაგრამ ის რეკომენდებულია მხოლოდ მათთვის, ვისაც ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინებზე ალერგიული რეაქცია აქვთ.

მესმის, ასტრაზენეკას ვაქცინა გამაძლიერებლის სახით იშვიათი გვერდითი ეფექტის - სისხლის შედედების გამო არ გამოიყენება. ამ მიზეზის გამო ასტრაზენეკით ვაქცინაცია დიდ ბრიტანეთში 40 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებში შეზღუდულია.

ყველა ვაქცინა, რომელიც დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, კორონავირუსის მძიმე ფორმისგან დაცვას უზრუნველყოფს, მაგრამ გაურკვეველი რჩება, რომელია ამ ვაქცინებიდან უფრო ხანგრძლივი დაცვის. ფაიზერი და მოდერნა უფრო კარგ შედეგებს აჩვენებს იმუნიზაციის პირველ კვირაში, მაგრამ მათი იმუნიტეტი უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე ასტრაზენეკით ვაქცინაციის შემთხვევაში.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

## „ინფრასტრუქტურა-2021“

# გაკეთდა, კეთდება, გაკეთდება

**2021 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსებულ ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელება ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საქართველოში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. აი, ისინიც:**

1 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **გიორგიწმინდაში** ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები 1300762,56 მიმდინარე

2 ხაშმი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ხაშმში** შესასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა 1370000 დასრულებული

3 ქ. საგარეჯო ქ. საგარეჯოში **კახეთის გზატკეცილი** № 10, 10ა, 12, 12ა, კორპუსების ეზოების მოასფალტება კეთილმოწყობის სამუშაოები 457815,07 დასრულებული

4 ქ. საგარეჯო ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქ. № 270, 272, 274 კორპუსების ეზოების მოასფალტება კეთილმოწყობის სამუშაოები 249891,93 დასრულებული

5 სოფელ **თოხლიაურში** შიდა ცენტრალური გზის მოასფალტება 296249 დასრულებული

6 ნინოწმინდა, წყაროსთავი ქ საგარეჯოს სოფელ **ნინოწმინდისა** და სოფელ **წყაროსთავის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები 549963,87 დასრულებული

7 ქ. საგარეჯოში ე.წ **„ქურხულიაანთ უბნის“** მიმდებარედ არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (არმირებული ცემენტბეტონით) მოწყობა 597500 მიმდინარე

8 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ბადიაურში** სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 91258,8 დასრულებული

9 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში**, არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება 235481,09 დასრულებული

10 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უდაბნოს** გზის მოასფალტების სამუშაოები 249011,9 დასრულებული

11 ქ. საგარეჯოში **მშვიდობის ქუჩის** მოასფალტება 871257 მიმდინარე

12 **ფალიაშვილის ქუჩის** მოასფალტება 284894 მიმდინარე

13 ქ. საგარეჯოში, **ბარნოვის, რობაქიძის და 9 ძმის ქუჩების** მოასფალტება 523600 მიმდინარე

14 ქ. საგარეჯო **კეცხოველის** ქუჩის მოასფალტება 194097 მიმდინარე

15 **კახეთის ქუჩის** მოასფალტება 67737,58 დასრულებული

16 შ. **რუთაველისა და კახეთის ქუჩის** დამაკავშირებელი გზების მოასფალტება 131153,4 დასრულებული

17 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **თულარი-კაზლარის** ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ა/საფარის მოწყობა 474000 მიმდინარე

18 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **კაკაბეთის** № 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა დაგეგმილი

### 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

1 საგარეჯოს მუნიცილაპიტეტის სოფელ **კაკაბეთში** „დვრინი”-ს წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ამავე სოფელში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 177762.81

2 ქალაქ საგარეჯოში **კოსტავას ქუჩაზე** 14 და 16 კორპუსების წყალმომარაგების - სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 70441.21

3 სოფელ **მზისგულში** წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 113364.36

4 სოფელ **ბურდიანის** წყალსადენის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა 115493.99

5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. **საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის,** სასმელი წყლის ამქაჩი. ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 177500

6 სოფელ **პატარძეულში** ეკლესიის მიმდებარედ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები 136439

7 სოფელ **პატარძეულში** ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები 136919.01

8 სოფელ **პატარძეულში** ლეკიანთ უბანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები 151224.89

9 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **წყაროსთავში** ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები 157198

10 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარძეულში** ბერთუბანში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 75273

11 ქ. საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოები 77673.5

12 ქალაქ **საგარეჯოში** ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეკეთების სამუშაოები 91309.78

13 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ე.წ **„ხაშმის დაჩეგამდე”** სასმელი წყლის ქსელი მოწყობის სამუშაოები 35195.86

14 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **ქ.საგარეჯოსა და მისი სოფლების** დაზიანებული ასფალტობეტონის გზის ორმოულის შეკეთების სამუშაოები 277836.68

15 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **კაკაბეთის** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის - სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების სრული კომპლექტაციის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 69478.24

16 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ნინოწმინდაში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 74882.8

17 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **პატარძეულში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 76792.04

18 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დუზაგრამაში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 74882.8

19 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარა ჩაილურში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 74882.8

20 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **თულარში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 74882.8

21 **ქალაქ საგარეჯოში** დავით აღმაშენებლის ქუჩა №37ა-ში მდებარე ცენტრალურ სტადიონზე ტრენაჟორების მოწყობისა და **სოფელ უდაბნოში** არსებულ მინი სტადიონის დახაზვისა და რეზინის კროშკის გაშლის 63986.68

22 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდ ჩაილურში** სტადიონის მშენებლობის სამუშაოები 92887.65

23 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარძეულში** ე.წ „ჩიხრაანთ” უბანში სანიაღვრე სისტემისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები 36814.66

24 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უდაბნოში** სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები 342996.07

25 სოფელ **უდაბნოში** ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის №34 და 35 ოთახების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები 12684.2

26 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **გიორგიწმინდაში** გარე განათების მოწყობის სამუშაოები 11138.15

27 სოფელ **გიორგიწმინდაში** სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები 10474.73

28 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ქვემო ყანდაურაში** სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები 72110.44

29 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მზისგულში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 72570

30 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **თოხლიაურში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 72570

31 **საგარეჯოს მუნიციპალიტეტში** სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების, საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნებისა და საგზაო გადასასვლელების (ე.წ „ზებრების”) მოწყობის სამუშაოები 30649.43

32 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ნინოწმინდაში** სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები 297000

33 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ნინოწმინდის** (მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ელექტროგაყვანილობის, გარე განათებისა და სკვერის შემოღობვის სამუშაოები 6106.38

34 **ქ. საგარეჯოში** კულტურის სახლის შენობის სახურავზე დაზიანებული სახურავის შეცვლის სამუშაოები 11428.65

35 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები 35373.52

36 ქ. საგარეჯოში **ერეკლე მეორის ქუჩაზე** სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები 69423.91

37 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ბადიაურში** მინი მოედნის რეაბილიტაციისა და ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოები 41300

38 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ყანდაურაში** მინი მოედნის რეაბილიტაციისა და ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოები 41300

39 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ხაშმში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 82021.02

40 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **შიბლიანში** მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები 82021.02

41 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარძეულის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები 282879

42 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **გიორგიწმინდის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები 258898

43 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (მეორე კორპუსის) სახურავის მოწყობის სამუშაოები 54934.33

44 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (პირველი კორპუსის) სახურავის მოწყობის სამუშაოები 65423.68

45 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარა ჩაილურში** სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები 47199.55

46 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უჯარმაში** მდებარე სოფელ უდაბნოს და სათაფლეს სათავე ნაგებობაზე წყლის შემაკავებელი ფარის მოწყობის სამუშაოები 2930.31

47 კაკაბეთი, ნინოწმინდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალაქ საგარეჯოს 1, **სოფელ კაკაბეთის №2** და სოფელ **ნინოწმინდის** საბავშვო ბაღებში საქვაბეების გამოტანის სამუშაოები 40302.42

48 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (მესამე კორპუსის) სახურავის მოწყობის სამუშაოები 58358.48

49 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. **საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის**, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 147750

50 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **ქალაქ საგარეჯოში** ჩოლოყაშვილის, ერისთავის, სათავის და წერეთლის ქუჩებზე და სოფელ პატარძეულში შიოს ეკლესიასთან სანიაღვრე სისტემისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები 42876.48

51 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უდაბნოში** ხუთი ოჯახის კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები 55031.65

52 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ბადიაურსა** და სოფელ **ყანდაურაში** ქუჩის ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები 42545.24

53 ქ. **საგარეჯოში** ჯაფარიძის ქუჩაზე ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები 46366.46

54 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **გომბორში** სანიაღვრე არხისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები 24191.63

55 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარძეულში** ე.წ „აჭარლების დასახლებაში” სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები 13431.94

56 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 6766.12

57 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ქვემო ლამბალოში** გარე განათების მოწყობის სამუშაოები 3549.44

58 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უდაბნოში** ჩიჩხატურის კოშკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 425714.79

59 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უდაბნოში** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღდგენითი სამუშაოები 65785

60 სოფელ **დიდი ჩაილურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეალიბიტაციის სამუშაოები 126379.94

61 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავსა** და სოფელ **თოხლიაურში** გარე განათების მოწყობის სამუშაოები 40120

62 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ბადიაურის**, სოფელ **მანავის** 1 და 2 საბავშვო ბაღებში საქვაბეების გამოტანის სამუშაოები 37052.91

63 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დუზაგრამასა** და სოფელ **მუღანლოში** ქუჩის ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები 45346.39

64 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **თოხლიაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოები 55459.99

65 ქალაქ **საგარეჯოში** 9 აპრილის ქუჩაზე გარე განათების სანათების შეცვლის სამუშაოები 4272.98

### პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტები

1 სოფელი **ბადიაური** გარე განათება 24341,86

2 **გიორგიწმინდა** საჭიდაო მოედნის მოწყობა 38599,6

3 **ანთოკი, მარიამჯვარი** ტრენაჟორების მოწყობა გაერთიანებული მარიამჯვართან 23317,06

4 **ქვემო სამგორი** სასმელი წყლის ავზის მოწესრიგება წყალი 6887,45

5 **გომბორი** სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან შემკრებამდე მისასვლელი მაგისტრალის ამოცვლა 15675,1

6 **ასკილაური** გარე განათება

7 **ვაშლიანი** სასმელი წყლის მილის შეცვლა(500. 32-იანი) 9799,4

8 **ვერონა** გარე განათება 9798,63

9 **რუსიანი** სკვერის მოწყობა 8302,93

10 **დიდი ჩაილური** გარე განათება 15682,86

11 **დუზაგრამა** გარე განათება 15682,95

12 **პალდო** გარე განათება 156836,67

13 **წიწმატიანი** გარე განათება 15683,67

14 **ვერხვიანი** ტრენაჟორების მოწყობა 25291,46

15 **თოხლიაური** სკვერის მოწყობა 27167,75

16 **თულარი** გარე განათება 19604,1

17 **კაზლარი** გარე განათება 19606,29

18 **მუღანლო** გარე განათება 19602,62

19 **ქეშალო** სანიაღვრე არხის მოწყობა 19604,78

20 **კაკაბეთი** სანიაღვრე არხის მოწყობა 19347,44

21 **კოჭბაანი** გარე განათება 9795,5

22 **გორანა** გარე განათება გარე განათება 9792,89

23 **იკვლივგორანა** გაბიონის სამუშაოების დასრულება 9799,42

24 **ოთარაანი** სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება 9800,16

25 **სასადილო** გარე განათება 9798,63

26 **ზემო ლამბალო** გარე განათება 19603,95

27 **ქვემო ლამბალო** გარე განათება 19601,54

28 **მანავი** გარე განათება 19605,47

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# სპორტი

## ნომრის სტუმარი

# წარმატებული ძიუდოისტი და მწვრთნელი დავით ასუმბანი




**სექტემბრის** მეორე ნახევრის დასაწყისის ერთ ნაშუადღევს „გარეჯის მაცნეს“ რედაქციაში ზარის ხმა გაისმა – აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ძიუდოს მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი გაზეთის რედაქტორს ატყობინებდა, რომ უახლოეს დღეებში საგარეჯოს ცნობილი ქართველი ძიუდოისტი დავით ასუმბანი ეწვევა და თუ საჭიროდ ჩათვლით, შემიძლია ინტერვიუს ჩაწერაზე დავითანხმოო. ჩვენი ამ ახალგაზრდა სპორტსმენისა და მწვრთნელის სპორტული მიღწევები კარგადაა ცნობილი ქართული ძიუდოს სამყაროში ჩახედული ადამიანისთვის, მათ შორის თავის დროზე ამ მიღწევების შესახებ ჩვენს გაზეთში და პირადადაც მომიზადებია პუბლიკაციები.

დროისა და შეხვედრის ადგილის წინასწარი შეთანხმების შემდეგ, რაშიც დახმარება საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექტორის მოადგილე ზვიად ჭიკაძემაც გაგვიწია მამუკა მათიაშვილთან ერთად, საპატიო სტუმართან 1 ოქტომბრის ნაშუადღევისათვის მოვახერხეთ ამ მოკლე ინტერვიუს ჩაწერა.

***– ბატონო დავით, თქვენი ფესვები სვანეთსა და უდაბნოს უკავშირდება. თუ შეიძლება მოკლედ გვიამბეთ ამ ისტორიულ სოფელთან თქვენი კავშირების შესახებ?***

– დავიბადე 1986 წლის 26 აგვისტოს და უდაბნოში ცხოვრებამ 1998 წლამდე მომიწია. აქვე ვისწავლე და დავამთავრე უდაბნოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექვსი კლასი. 1998 წლიდან კი, თბილისში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გადავედი, როგორც პერსპექტიული ძიუდოისტი.

***– ვინ იყო ის პირველი მასწავლებელი და დამკვალიანებელი, ვინც მსოფლიოში პოპულარული, ძიუდოს საიდუმლოებებს გაზიარათ და ფაქტიურად, სწორ სავალ გზაზე დაგაყენათ?***

– ეს ადამიანი გახლავთ უდაბნოელი მწვრთნელი გუჯა ხაჭვანი, რომელთანაც ძიუდოში სავარჯიშოდ პირველად 1994 წელს მივედი, შემდეგ კი დავდიოდი საგარეჯოში, სადაც ვვარჯიშობდი ცნობილ მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან ბიჭიკო მარიდაშვილთან და მიშა ქურხულთან.

***– თქვენი სპორტული კარიერის წინსვლა თბილისის ძიუდოს აკადემიაში გადასვლის შემდეგ დაიწყო...***

– ნამდვილად ასეა. აქ ჩემი მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილი იყო, რომელთან ვარჯიშის შედეგად 2002 წელს გავხდი საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში 55 კგ წონით კატეგორიაში. იმავე წელს გავხდი ევროპის პრიზიორი ჭაბუკებში იგივე, 55 კგ წონით კატეგორიაში. სწორედ ეს წარმატებები იქცა ჩემი შემდგომი წარმატებების და სპორტული კარიერის წინსვლის ათვლის წერტილად.

***– მოდით, მოკლედ გავიხსენოთ მათ შესახებაც...***

– 2003-2004 წლებში გავხდი საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში და ევროპის პრიზიორი იგივე ასაკში. 2004-2006-2010 სამჯერ ვიყავი საქართველოს ჩემპიონი დიდების ასაკში 60კგ წონით კატეგორიაში და დაყენებული ვიყავი საქართველოს ძიუდოს ნაკრების პირველ ნომრად.

2010 წელს გავხდი თბილისის მსოფლიო თასის გამარჯვებული 60 კგ წონით კატეგორიაში. ამავე წლის თებერვალში კი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი , პარიზის დიდი სლემის ჩემპიონი, ამავე წელს ევროპის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში. ასევე ვარ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობების ჩემპიონი და გამარჯვებული.

***– თქვენ სპორტულად ახალგაზრდულ – 27 წლის ასაკში მოგიხდათ აქტიური სპორტიდან წასვლა. რა იყო ამის მიზეზი?***

– 2012 წლის დასაწყისში მიღებული ტრავმების გამო, რომელთა გამო აღარ შემეძლო ძიუდოში მაქსიმუმის, მაღალი შედეგების მიღწევა, ჩამოვშორდი ჭიდაობას და ჩავთვალე, რომ ჩემი ცოდნა-გამოცდილება, მწვრთნელის რანგში გამეზიარებინა ახალგაზრდა ძიუდოისტებისათვის. ასე გავხდი საქართველოს ძიუდოს ნაკრების მწვრთნელი.

***– 2013 წელი საქართველოს ძიუდოს ისტორიაში ყველაზე წარმატებულ წლად ჩაიწერა. ეს ის დროა, როცა თქვენ ამ ნაკრების მწვრთნელად მუშაობდით...***

– ეს წელი მართლაც წარმატებული და ერთ-ერთი გამორჩეული სპორტული მიღწევების წელია ქართველი ძიუდოისტების მიღწევათა შორის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი ძიუდოისტების მაღალ ისტორიული შედეგი ევროპის ჩემპიონატზე. აქ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სამი ოქროს, სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა 7 წონით კატეგორიაში 6 ფინალი იჭიდავეს. აქ თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი.

ვერცხლის მედლების კავალერები და ვიცე-ჩემპიონი გახდნენ ნუგზარ ტატალაშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი და ადამ ოქრუაშვილი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ზებედა რეხვიაშვილმა. ამავე ასპარეზობაში ჩვენი ძიუდოისტები გახდნენ ევროპის გუნდური ჩემპიონები, რომლებმაც ფინალურ შეხვედრაში დაამარცხეს ასპარეზობის ფავორიტად მიჩნეული რუსეთის ძიუდოისტთა უძლიერესი გუნდი.

***– კიდევ რა დასამახსოვრებელი წარმატებებია თქვენი, როგორც საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის კარიერაში?***

– როგორც მწვრთნელი, ჩემთვის დაუვიწყარია და მეამაყება ჩვენი ძიუდოისტების წარმატებები გრან-პრისა და გრანდ-სლემის მსოფლიო თასებზე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარდა, ძალიან წარმატებული გამოსვლა გვქონდა მსოფლიო ჩემპიონატზე 2013 წელს, რიო დე ჟანეიროში, სადაც ჩვენი ნაკრები გახდა მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში. პირად პირველობაში ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ვარლამ ლიპარტელიანი და ავთანდილ ჭრიკიშვილი. ამ და სხვა საერთაშორისო დონის მიღწევების გათვალისწინებით, ჩვენი ნაკრები ევროპის საუკეთესო გუნდად, ხოლო ავთანდილ ჭრიკიშვილი, რომელიც 81 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, დასახელდა ევროპის საუკეთესო ძიუდოისტად.

***– თქვენი აზრით რა თვისებები უნდა გააჩნდეს კარგ მწვრთნელს მსგავსი და სხვა უფრო მაღალი შედეგების მისაღწევად?***

– პირველ რიგში მწვრთნელს უნდა შეეძლოს სპორტსმენებთან კარგი, სათანადო კომუნიკაციის დამყარება მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე პატივისცემისა და ურთიერთობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, გუნდში სათანადო დისციპლინის დამყარება და განმტკიცება, ვარჯიშების სწორი დაგეგმარება და მაღალ დონეზე წარმართვა და სხვა მრავალის, რაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ჩემი გადასახედიდან თუ შევხედავთ ამ საქმიანობას, რადგან თავის დროზე თავადაც გახლდით აქტიური სპორტსმენი და საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრი, კარგად ვიცი რა და რანაირი მიდგომა და დამოკიდებულება სჭირდება სპორტს და სპორტსმენებს. პირველ რიგში მწვრთნელი უნდა იყოს მისი კარგი მეგობარი და ახლობელი ადამიანი, კარგად ერკვეოდეს სპორტსმენის ფსიქოლოგიაში და ამის გათვალისწინებით აწყობდეს მასთან ურთიერთობებსა და ყოველი ვარჯიშის გეგმებს.

***– გატყობთ, რომ სადღაც მიგიჩქარიათ, ნამდვილად დასანანია, ასე ნაადრევად დამშვიდობება, რადგან კიდევ რამდენი რამის გახსენება შეიძლებოდა თქვენი სპორტული საქმიანობიდან, მაგრამ რა გაეწყობა. ამიტომ ბოლო ტრადიციული კითხვა: – როგორია მწვრთნელი დავით ასუმბანის სამომავლო გეგმები?***

– ეს გეგმა ისაა, რომ ჩვეული მიზანდასახულობით გავაგრძელო შრომა და საქმიანობა, რათა ჩვენ, სპორტსმენებმა კიდევ უფრო მეტი წარმატება მოვუტანოთ ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.

*ესაუბრა* ბიჟი დაბახიშვილი

P.S. ეს წერილი მომზადებული იყო, როცა ქალაქის ცენტრში შევხვდით ჩვენი რესპოდენტის ყოფილ ***საგარეჯოელ მწვრთნელს, გარეჯული ძიუდოს ამაგდარ მწვრთნელს*** **ბიჭიკო მარიდაშვილს** და **დავით ასუმბანზე** ჩამოვუგდეთ სიტყვა.

– დავით ასუმბანი ძლიერი ძიუდოისტი იყო. პატარაობისას ჩვენთან, საგარეჯოში სავარჯიშოდ უდაბნოდან დადიოდა, მერე კი თბილისში ოლიმპიური მზადების ცენტრში გადავიდა სავარჯიშოდ, ბევრი შეჯიბრება აქვს მოგებული, მათ შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია მისი გამარჯვება საფრანგეთში „პარიზის დიდი სლემის“ ასპარეზობაში, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი შეჯიბრებაა მსოფლიოში და ქართველი ძიუდოისტებიდან ორ თუ სამ ძიუდოისტს ექნება მოგებული. ჭიდაობას თავი რომ დაანება, მუშაობდა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად. შემდეგ იყო თურქეთის ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის (რომელიც ასევე ქართველია) მოადგილე. უკვე დიდი ხანია მას აღარ შევხვედრივარ და მისი ბოლოდროინდელი ამბები აღარ ვიციო, – გვითხრა ბატონმა **ბიჭიკო მარიდაშვილმა.**




# ფეხბურთი

## „გარეჯი-1960“ გამარჯვებისა და წინსვლისათვის იბრძვის



**28 სექტემბერს** გაიმართა საქართველოს ეროვნული ლიგის მორიგი – 28-ე ტური, რომელშიც „გარეჯი-1960“-მა მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „გაგრა“. ამ მატჩის შედეგს ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაგრა ჩემპიონობისათვის იბრძვის და 2 ქულით ჩამორჩება ლიდერ ბოლნისის „სიონს“. „გარეჯს“ კი, რომელიც მეორე ლიგის დებიუტანტია თუმცა საკმაოდ წარმატებუ;ლი სეზონი აქვს და ამჟამად მეოთხე ადგილზეა, აქვს შანსი გავიდეს პლეი-ოფში და უმაღლეს ლიგაში ამოყოს თავი, რაც ნამდვილი სენსაცია იქნება.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრა თავიდანვე „გარეჯისათვის “ ცუდად დაიწყო – უკვე მე-8 წუთზე გაგრა დაწინაურდა თეიმურაზ მარკოზაშვილის გოლით. „გარეჯის“ მთელი მატჩის განმავლობაში ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას და შეძლო კიდეს მატჩის მიწურულს ამის გაკეთება – 86-ე წუთზე ლაშა ლეჟავას პასით გიორგი ტყეშელაშვილმა გაიტანა. თუმცა გაგრელებმა შეძლეს 90-ე წუთზე შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა. 1:2 ასე დამთავრდა ეს მატჩი.

**3 ოქტომბერს** კი „გარეჯმა“ თბილისის „მერანს“ უმასპინძლა. მასპინძლებმა ანგარიში მეცხრე წუთზე გახსნეს – ეს გიორგი ხარებაშვილმა გააკეთა. მანვე 36-ე წუთზე მეორედ დალაშქრა თბილისელების კარი. შეხვედრის დამატებულ 94-ე წუთზე კი სტივენ ბერმუესის პასით ფრანცისკო ბრავომ სამამდე გაზარდა ანგარიში.

„გარეჯი-1960“ „მერანთან“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სტივენ ბერმუდესი (მეკარე), ნიკოლოზ ნოზაძე, გიორგი პაპუაშვილი (84წთ), გიორგი ტყეშელაშვილი, ზურა ძამსაშვილი, თორნიკე მოსიაშვილი (სტივენ ბერმუდესი 68), გიორგი ბალახვარიძე, გურამ ხარებავა, ვაჟა ქიქავა, ნიკოლოზ ხინთიბიძე (ფრანცისკო ბრავო 68), ნიკოლოზ ყურშავაშვილი, გიორგი ხარებაშვილი (ბიჭიკო გედენიძე (88). მთავარი მწვრთნელი თენგიზ კობიაშვილი, დირექტორი ლაზარე დათუნაშვილი.

მორიგ მატჩს „გარეჯი-1960“ 14 ოქტომბერს რუსთავში ადგილობრივ „რუსთავთან“ გამართავს.



## „ინფრასტრუქტურა-2021“

# გაკეთდა, კეთდება, გაკეთდება

**დასასრული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 29 | **ზემო ბურდიანი** | სანიაღვრე არხის მოწყობა | 9792,3 |
| 30 | **მზისგული** | ტრენაჟორების მოწყობა | 24362,78 |
| 31 | **ნინოწმინდა** | ტრენაჟორების მოწყობა | 24147,81 |
| 32 | **პატარა ჩაილური** | ტრენაჟორების მოწყობა | 24323,38 |
| 33 | **პატარძეული** | გარე განათება | 26252,01 |
| 34 | **სათაფლე** | სკვერის მოწყობა | 9803,34 |
| 35 | **უდაბნო** | ტრენაჟორების მოწყობა | ს24901,68 |
| 36 | **უჯარმა** | გარე განათება | 15683,67 |
| 37 | **მუხროვანი** | სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა | 9802,91 |
| 38 | **პალდო** | სარწყავი სისტემის მოწყობა | 9800,32 |
| 39 | **ქვემო ყანდაურა** | გარე განათება | 15677,77 |
| 40 | **ზემო ყანდაურა** | ცხაურების მოწყობა | 9797,96 |
| 41 | **შიბლიანი** | სანიაღვრე არხის მოწყობა | 15684,08 |
| 42 | **წყაროსთავი** | საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა | 13290,65 |
| 43 | **ხაშმი** | ამბულატორიაში გათბობის მოწყობა | 18687,29 |
| 44 | **ბოტკო** | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სისტემის მოწყობა | 9800,6 |

## ჯანმრთელობა

## „Covid-19“ და ჩვენ

# რამდენად უსაფრთხოა ბავშვების ვაქცინაცია?

**დასასრული**

ასე რომ, არასწორი იქნება, ასტრაზენეკას ვაქცინა ბუსტერული დოზით გამოსაყენებლად სრულად ჩამოვწეროთ. თუკი დამტკიცებულია, რომ ვაქცინა კარგად აძლიერებს იმუნიტეტს, მან შესაძლოა მუდმივი როლი შეასრულოს.

***– ვარ 72 წლის კაცი და მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ერთდროულად რევაქცინაცია და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება?***

– დიახ, როდესაც რევაქცინაციის პროგრამის შესახებ გამოცხადდა, შოტლანდიის მთავრობამ განაცხადა, რომ ვაქცინაციისა და იმუნიზაციის ერთობლივი კომიტეტის (JCVI) რჩევებს გაითვალისწინებდა და „ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, ადამიანებს ასაკის მიხედვით შესთავაზებს კორონავირუსისა და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინას ერთდროულად“.

თუკი 50 წელს გადაცილებული ხართ, ერთ-ერთ ჯგუფს მიეკუთვნებით, რომლისთვისაც რეკომენდებულია კორონავირუსის ბუსტერული დოზის მიღება. სხვა ჯგუფების მიეკუთვნებიან ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების თანამშრომლები; 16-დან 49 წლის ჩათვლით ადამიანები; სხვადასხვა დაავადების მქონე და ხანდაზმულები, რომლებიც მოხუცთა თავშესაფრებში ცხოვრობენ. ეს უკანასკნელი ჯგუფი შოტლანდიაში ორივე ვაქცინით (კორონავირუსის და გრიპის საწინააღმდეგო) იცრებიან.

კორონავირუსისა და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთდროულად გაკეთება დაშვებულია ინგლისშიც, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით.

ჩრდილოეთ ირლანდიასა და უელსში, ასევე, იგეგმება ორივე ვაქცინის ერთდროულად ხელმისაწვდომობა, თუმცა უელსში ჯანდაცვის მინისტრმა ელუნედ მორგანმა მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ეს იქნება „მხოლოდ იქ, სადაც დრო და ლოგისტიკა დართავს ნებას“.

## „Covid-19“ საქართველოში

**10 ოქტომბრის** მონაცემებით საქართველოში ორი დოზით აცრილი იყო 874060 ადამიანი, ერთი დოზით – 100078 კაცი.

დღემდე ქვეყანაში ინფიცირებულია 635583 ადამიანი

გარდაიცვალა – 9269 ადამიანი.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

**2021 წლის 9 თვის მონაცემები**

**შპს** საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსის“ კოვიდცენტრის მონაცემებით:

ინფიცირებულია – 3860 ადამიანი.

გარდაცვლილი – 23 (შპს „საგარეჯოს ჯეოჰოსპიტალსში“)

აცრილია 11420 ადამიანი (შპს „საგარეჯოს ჯეოჰოსპიტალსში“. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილმა ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო ცენტრში მიიღო კოვიდსაწინააღმდეგო აცრა.

## კულინარია

# თქვენთვის დიასახლისებო!

**შემოდგომა უამრავ საზრუნავს უჩენს დიასახლისს – სამზადისი ზამთრის შესახვედრად, თანაც ისეთ პერიოდში, როცა არც ვიცით, კიდევ რამდენ ხანს გვეყოლება „ურჯულო და ვერაგი „covid-19“.**

**ახლა კონსერვების, მურაბების, კომპოტების, ჩირების მომზადების დროა!. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს და სხვა ნომრებშიც შემოგთავაზებთ კულინარიულ რეცეპტებს.**

## წითელი აჯიკა

**წითელი აჯიკა** - ტრადიციული რეცეპტის გამარტივებული ვერსია, რომელიც ოთახის ტემპერატურაზეც შეინახება

**ინგრედიენტები**:

პომიდორი - 2 კგ
ბულგარული წიწაკა - 2 კგ
წითელი წიწაკა, ცხარე - 400 გრ
ნიორი - 400 გრ
მარილი - 100 გრ
შაქარი - 150 გრ
ძმარი 9% - 100 მლ

**მომზადების წესები**

ნივრის თავი კბილებად დაშალეთ და ცხელ წყალში 15-20 წუთით დაალბეთ. ამ მარტივი ხრიკით ნიორს უფრო მარტივად გაარჩევთ.

პამიდორი 2 ან 3 ნაწილად დაჭერით. წითელ წიწაკას ყუნწი მოაჭერით, თესლები გამოაცალეთ და 3 ნაწილად დაჭერით.

ყველაფერი ხორცსაკებ მანქანაში გაატარეთ და ქვაბში ჩაასხით. კარგად ამოურიეთ და ადუღებამდე მიიყვანეთ. ხშირად ურიეთ. რომ ადუღდება, დაუმატეთ მარილი, შაქარი და ძმარი. კარგად ამოურიეთ. გააჩერეთ ცეცხლზე 25-30 წუთით და გასტერილებულ ქილებში ჩაასხით. შემდეგ თავი მოუხუფეთ და შეინახეთ.

## ლეღვის მურაბა



**უგემრიელესი** ლეღვის მურაბის რეცეპტი თქვენთვის და თქვენი ოჯახის ყველა წევრისათვის.

უგემრიელესი ლეღვის მურაბის რეცეპტი თქვენთვის და თქვენი ოჯახის ყველა წევრისათვის.

**ინგრედიენტები**

1 კგ. ლეღვი
1 კგ. შაქარი
2 ჭიქა წყალი

**რეცეპტის მომზადების საფეხურები**

შავი სამურაბე ლეღვი ალაგ-ალაგ ჩავჩხვლიტოთ ხის ჩხირით. ორ ჩაის ჭიქა წყალში ჩავყაროთ შაქარი და მოვადუღოთ სიროფი. დაჩხვლეტილი ლეღვი მოვათავსოთ სიროფში და ნახევარსაათიანი დუღილის შემდეგ გადმოვდგათ ცეცხლიდან. გავაჩეროთ რამოდენიმე საათით ან მეორე დღემდე. შემდეგ კვლავ შემოვდგათ ცეცხლზე და ვხარშოთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ სიროფი არ შესქელდება და ლეღვი ქარვის ფერს არ მიიღებს.

## მკვახე პამიდორი, ყვავილოვანი კომბოსტო...



**ამ** წესით ჩადებული მწვანე პამიდორი და ყვავილოვანი კომბოსტო რამდენიმე დღეში მწნილდება და ძალიან გემრიელია.

**ინგრედიენტები**

მწ ანე პამიდორი - 1 კგ
ყვავილოვანი კომბოსტო - 0,5 კგ
ქორფა, პატარა კიტრი - 1 კგ
სტაფილო - 0,5 კგ
წითელი ბულგარული წიწაკა - 0,5 კგ
მწარე წიწაკა - 2-3 ცალი
ნიორი - 200 გ
ნიახური - 200 გ
კამა - 50 გ
მარილი - 3-4 სუფრის კოვზი

## როგორ გავაკეთოთ ხურმის ჩირი



**ხურმის** ჩირი ერთ–ერთი გამორჩეული ნუგბარია ზამთარში. თანაც ახალი წლის სუფრის განუყოფელი ნაწილია.

მისი გაკეთება ძალიან მარტივია, თუმცა საბოლოო შედეგის მიღწევა გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული.

ამოარჩიეთ მაგარი ხურმა, რომელსაც გრძელი ყუნწი ექნება (რბილი ხურმა ჩირისათვის არ გამოდგება). გარეცხეთ, გაթალეთ და დაუტოვეთ ყუნწი.

ჩამოკიდეთ ძაფზე

ძაფის ორივე ბოლო ხურმას ყუნწზე მოაბით (თითო ბოლოზე თითო ხურმა). გასაშრობად მზეზე ისე გაკიდეთ, რომ ხილი ერთმანეთს არ ეხებოდეს. სასურველია, გახმეს მზეზე და ჰაერზე.

ერთი კვირის განმავლობაში ხურმას არ შეეხოთ. როცა სრიალა ზედაპირი აღარ ექნება და გამაგრებას დაიწყებს, თითოეული ხურმა ყოველ დღე რამდენიმე წამით დაზილეთ (თუმცა, ფრთხილად იყავით, რომ კანი არ დასკდეს). ამ გზით ჩირს გარედან შაქრის თხელი ფენა გაუჩნდება და უფრო ტკბილი და გლუვი იქნება.

დაახლოებით ერთი თვიდან – ექვს კვირამდე ხურმა გამოშრება და მზად იქნება მისართმევად

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru